საქართველოს მთავრობის

დადგენილება №60

2023 წლის 10 თებერვალი

ქ. თბილისი

„განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 ივლისის №403 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 ივლისის №403 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/07/2020, 300350000.10.003.022117) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემაში“:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საინიციატივო შეთავაზების განხილვა და სადგურის მშენებლობისა და ოპერირებისთვის მხარდაჭერის სქემის გამოყენებაზე შეთანხმების (შემდგომში – შეთანხმება) გაფორმება კერძო ინიციატორს, საქართველოს მთავრობასა და ამ სქემის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაციას შორის ხორციელდება „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“.

2. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მხარდაჭერის სქემა ხორციელდება სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“, როგორც საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციის მიერ. ამ მიზნით, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და მხარდაჭერის სქემით მოსარგებლე პირს შორის ურთიერთობა რეგულირდება საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით დამტკიცებული წესებისა და პრინციპების შესაბამისად.“.

3. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. პრემიალური ტარიფი

1. პრემიალური ტარიფი შეადგენს 1 კვტ-სთ-ისთვის 0.015 აშშ დოლარს, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. პრემიალური ტარიფი გადაიხდება, როგორც ელექტროენერგიის დღით ადრე ბაზარზე შესაბამისი საათისთვის დაფიქსირებულ საბითუმო (წონასწორულ) ფასზე დამატება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადგურის მიერ მხარდაჭერის პერიოდის განმავლობაში ელექტროენერგიის დღით ადრე ბაზარზე საათში 1 კვტ-სთ ელექტროენერგიისათვის დაფიქსირებული საბითუმო (წონასწორული) ფასი ნაკლებია 0.055 აშშ დოლარზე.

3. პრემიალური ტარიფი გადაიხდება ამ მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული პირობებით შესაბამის საათში სადგურის მიერ ფაქტობრივად გამომუშავებულ (სალტეზე გაცემულ) ელექტროენერგიის მოცულობაზე.

4. პრემიალური ტარიფის გაანგარიშებისათვის გამოიყენება მხოლოდ ელექტროენერგიის დღით ადრე ბაზრის ფასი. პრემიალური ტარიფი თითოეული საათისათვის შეადგენს 0.055 აშშ დოლარსა და ელექტროენერგიის დღით ადრე ბაზარზე შესაბამისი საათისთვის დაფიქსირებულ საბითუმო (წონასწორულ) ფასს შორის დადებით სხვაობას, მაგრამ არაუმეტეს 0.015 აშშ დოლარისა.

5. ამ დადგენილების საფუძველზე, შეთანხმებით გათვალისწინებული წესით, პრემიალური ტარიფის ანაზღაურება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში იმ პირობით, რომ ასანაზღაურებელი თანხის გაანგარიშება და აღიარება ხორციელდება დღიურად ელექტროენერგიის დღით ადრე ბაზარზე ვაჭრობის ყოველი დღის საათობრივი მონაცემების მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დღით ადრე ბაზარზე ვაჭრობის შესაბამისი დღისათვის დადგენილი კურსით. საანგარიშო თვის პრემიალური ტარიფის შესაბამისი ჯამური თანხის ანაზღაურება განხორციელდება ყოველი თვის დასრულების შემდეგ.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**